

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

შ.პ.ს. „გორბი ევრაზია“ ს/კ 405430911

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის და ხარჯების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	3 451	50 926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	1 468 832	2 665 783
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	25 357	107 769
მარაგები			
მზა პროდუქცია			
სხვა -საწვავი			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	182 960	7 021
სხვა არამატერიალური აქტივები	5	4 144	4 144
ძირითადი საშუალებები	6	265 489	139 702
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		1 950 233	2 975 345
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	7	48 846	16 661
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8	57 122	420
საგადასახადო ვალდებულებები	9	16 466	1304
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10	147 996	864 416
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	11	41 629	87 190
სულ ვალდებულებები		312 059	969 991
კაპიტალი	12	187 531	227 592
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13	1 450 583	1 777 762
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი		1 638 174	2 005 354
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 950 233	2 975 345

შპს „გორბი ევრაზია“-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები	№ სტ.	31.12.2022	31.12.2023
ნეტო ამონაგები	14	1 629 198	2 522 656
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		1 629 198	2 522 656
გაყიდვების თვითღირებულება	15	- 1 366 369	-1 861 131
საერთო მოგება		262 829	661 526
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება			
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი			
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(304 549)	(404 220)
სულ საოპერაციო ხარჯები			
საოპერაციო მოგება		(41 720)	257 305
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	17	376 714	69 874
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		334 994	327 179
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		334 994	327 179
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		334	327 179
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		187 531	227 592
აკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	18	1 638 174	2 005 354

2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გორბი ევრაზია“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 405430911 დაარსდა 2021 წლის 5 იანვარს კომპანიის დამფუძნებელი მერაბ ფაჩულია (პ/ნ 01007003464)-100%.

კომპანიის დირექტორია მერაბ ფაჩულია (პ/ნ 01007003464).

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 47, ბინა N88

კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს სოციალური კვლევა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას, საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („GEL“). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

ვალუტის დასახელება (კურსი)	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2,6894
ევრო/ლარი	2,9753
გირვანქა სტერლინგი	3,4228

ამონაგების აღირება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები, გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“, წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგებასა ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება

მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო გამოყენების ვადით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება შესაბამისი ქვეჯგუფით რომელსაც მიეკუთვნება ძირითადი საშუალება. 31.12.2023 წლის ბოლოსთვის ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი ქვეჯგუფები მათი სასარგებლო გამოყენების ვადით.

ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა თვე
ელექტრონული მოწყობილობა	60
მსუბუქი ავტომობილები	60
კომპიუტერები	60
ავეჯი ოფისისთვის	60
არამატერიალური აქტივები	1-10 წელი

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები 31.12.2023

ცხრილი 1

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5379,97	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	16 794,25	დოლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	127,42	ევრო

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში. 2023 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდებოდა ლარი - 50 925.54 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

ცხრილი 2.1, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	1 468 832	2 665 783

კვლევის დამკვეთები არიან როგორც საქართველოს რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი კომპანიები.

კვლევის ჩატარების ხელშეკრულებები შეიძლება ატარებდეს, როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან ხასიათს, შესაძლო გადავადებული გადახდით ან წინასწარი გადახდის საფუძველზე.

შედეგად წლიურ ანგარიშგებაში ჩამოყალიბებულია შესაბამისი დავალიანებები (დებიტორული დავალიანება მიღებული მყიდველების გაწეული მომსახურებისთვის, კრედიტორული დავალიანება მყიდველების წინაშე მიღებული ავანსები).

2023 წელს კომპანიამ გამოიყენა საკუთარი დაგროვილი კაპიტალი და განახორციელა ფინანსური დაბანდება მოკლევადიანი სესხის გაცემით იურიდიულ პირზე. ხელშეკრულების პირობები და საპროცენტო განაკვეთი შეესაბამება კანონით დადგენილ პირობებს.

ასევე კომპანიამ განახორციელა მოკლევადიანი ინვესტიცია სხვა იურიდიული პირის კაპიტალის შევსებად, რომლის თანადამფუძნებელს წარმოადგენს შ.პ.ს „გორბი ევრაზია“.

დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში 2.2

ცხრილი 2.2, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023	%	%	აბსოლუტური გადახრა (%)
1	გაცემული სესხი	875 465	1 702 365	60	64	+4
2	მოკლევადიანი ინვესტიციები	248 700	620 962	17	23	+6
3	დარიცხული პროცენტი	144 208	319 408	10	12	+2
4	დებიტორული დავალიანება - რეზიდენტები		2 317			
5	დებიტორული დავალიანება - არარეზიდენტები	200 459	20 731	14	1	-14
	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 468 832	2 665 783	100	100	

მაქსიმალური გადახრა +6% სტატიით მოკლევადიანი ინვესტიციები, გამოწვეულია შემდეგი მოვლენით: 04.01.2023 კომპანია გორბიევრაზიამ დაარეგისტრირა შენატანი სხვა კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეფასების ღირებულებით 307 267 ლარი.

დებიტორული დავალიანება საგრძნობლად შემცირდა (-14 %), რამაც ხელი შეუწყო მთლიანად კომპანიის ლიკვიდურობის გაზრდას.

3. გაცემული ავანსების დინამიკა წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილი 3, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023	აბსოლუტური გადახრა
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	25 367	107 769	82 412

2023 წელს ხელშეკრულების პირობებით, ძირითადი საშუალებების შესაძენად მიმწოდებელს რეზიდენტს გადაუხადეს ავანსი (კომპანიამ შეიძინა მსუბუქი ავტომობილი). ძირითადი საშუალება დაარეგისტრირდა 2024 წლის აპრილში, ავანსი დაიხურა.

4. სხვა მოკლევადიანი აქტივები

დაუმთავრებელი მშენებლობა გადაეცა ფიზიკურ პირს გაჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. მარაგთა სტრუქტურა წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023	აბსოლუტური გადახრა (ლარი)	აბსოლუტური გადახრა(%)
1	1/3 დაუმთავრებელი მშენებლობა_საჩუქარი	178 967		-178 967	102
2	საოფისე ინვენტარი	2579	6307	3 728	-2
3	საწვავი_დაწესებულების ავტომანქანები	1 414	480	- 934	-
4	ოფისი _სახარჯი მასალები		234	234	
	სულ	182 960	7 021	-175 939	100

აბსოლუტური გადახრა სხვა მოკლევადიანი აქტივების ხაზში, განპირობებულია ამ ანგარიშის მე-2 პუნქტში აღწერილი სიტუაციით. 2023 წელს აქტივი გადავიდა შესაბამისი პუნქტების მიხედვით: (+) პუნქტით მოკლევადიანი ინვესტიციები (-) პუნქტით სხვა მოკლევადიანი აქტივები 178 967 ლარი.

დაუმთავრებელი მშენებლობა სხვა კომპანიის საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით გადავიდა. 04.01.2023 წელს ეს გადაწყვეტილება დარეგისტრირდა რეესტრში და შევიდა კანონიერ ძალაში.

5. კომპანიის არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში ირიცხება

არამატერიალური აქტივების განმარტება, რომლებიც აღრიცხვაზეა 31.12.2023 წლის მდგომარეობით

ცხრილი 5, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023
1	ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ლიცენზია	1 390	1390
2	ანტივირუსული პროგრამა	2 754	2 754
	სულ	4 144	4 144

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს - პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 1 -დან 10 წლამდე.

6. ძირითადი საშუალებები

მე-6.1 ცხრილში მოცემულია ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება 2022-2023 წლების დინამიკაში.

ცხრილი 6.1, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023
ძირითადი საშუალებები	265 489	139 702

დაუმთავრებელი მშენებლობის 1/3, მიღებული აღრიცხვაზე 2022 წელს ფიზიკური პირისაგან ჩუქების ხელშეკრულებით, გადაეცა 2023 წელს სხვა კომპანიის საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით. ოპერაცია დარეგისტრირებულია რეესტრში 04.01.2023 წელს და ამავე თარიღით გატარებულია აღრიცხვაში.

საწარმოს ძირითადი საშუალებების სტრუქტურა წარმოდგენილია მე-6.2 ცხრილში

ძირითადი საშუალებების სტრუქტურა:

ცხრილი 6.2, ლარი

ბუღ. ანგარიში	ძირითადი საშუალებების ჯგუფები	შესყიდვის ღირებულება _31.12.2022	შესყიდვის ღირებულება _31.12.2023	ცვეთა_31. 12.2022	ცვეთა_31. 12.2023	ნარჩენი ღირებუ ლება_31. 12.2022	ნარჩენი ღირებულე ბა_31.12.20 23
2180	სატრანპორტო საშუალებები	100 017	100 017	-23 627	-47 450	76 390	52 567
2160.04	კომპიუტერები	43 069	70 490	-6 278	-16 797	36 791	53 693
2160.01	საკომუნიკაციო საშუალებები	15 447	13 595	-3 196	-5 688	12 251	7 907
2160.02	საოფისე ინვენტარი	11 877	12 373	-2 305	-4 689	9 572	7 684
2160.03	ელექტრონული მოწყობილობა	3 288	20 909	-3 288	-5 872		15 037
2110.01	მიწა	128 300				128 300	
2160.05	ბანერები, სარეკლამო პროდუქცია		2 203		-1 211		992
2160.06	ავტომობილი_საბურავები		1 822				1 822
	სულ	301 998	221 409	41 425	81 707	265 489	139 702

2023 წელს კომპანიამ განაახლა კომპიუტერული პარკი და ელექტრონული აღჭურვილობები (ნაყიდა ახალი ლაზერული პრინტერი, მონიტორები და ა.შ.)

7. სავაჭრო ვალდებულებები

საწარმოს ძირითადი საშუალებების სტრუქტურა წარმოდგენილია მე-7 ცხრილში

ცხრილი 7, ლარი

№ III	დასახელება	31.12.2022	31.12.2023	აბსოლუტური გადახრა
1	სავაჭრო ვალდებულებები	48 846	16 661	-32 185
2	მათ შორის სავაჭრო ვალდებულებები_რეზიდენტები	86%	100 %	
3	სავაჭრო ვალდებულებები_არარეზიდენტები	14%		

მიმწოდებლების წინაშე კრედიტორული დავალიანება დაშვებულია დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მისი 90% არის დავალიანება იმ მომწოდებელი ორგანიზაციების მიმართ,

რომლებიც გვიწევს კომუნალურ და სხვა ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის მომსახურებას, რომელთა გადახდა ხდება მომსახურების გაწევის თვის მომდევნო თვეში.

2023 წელს გაზრდილი ლიკვიდობის გამო, კრედიტორული დავალიანება მნიშვნელოვნად შემცირდა (– 32 185) ლარი.

8. 2023 წელს ფინანსურმა მდგომარეობამ კომპანიას საშუალება მისცა დაერიცხა და გადაეხადა 2023 წლის დეკემბრის თვის ხელფასი 31.12.2023-მდე, რის შედეგადაც წლის ბოლოს თანამშრომლების წინაშე დავალიანება არ არის.

ცხრილი 8, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	57 122	420

9. ბიუჯეტის მიმართ დარიცხული დავალიანება დაფარულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ცხრილი 9, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023
საგადასახადო ვალდებულებები	16 466	1 304

10. 2023 წელს კომპანიის მფლობელის მიერ მიღებული იქნა კომპანიის დასაფინანსებლად სესხის აღების გადაწყვეტილება. სესხის მიზანი: კომპანიის საბრუნავი საშუალებებით შევსება საწესდებო კაპიტალში, რომელშიც გორბიევრაზიამ 04.10 შეიტანა ქონება.

ცხრილი 10, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023
1	მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	147 996	864 416
	მათ შორის		
2	BASISBANK-ის ოვერდრაფტი	97 143	
3	კრედიტი მფლობელის	50 191	800 248
4	% კრედიტი მფლობელის	653	64 168
5	გადასახდელი დივიდენდები	9	

11. მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჩამოყალიბდა დავალიანება მყიდველისგან მიღებულ ავანსებზე. მიღებული ავანსების სტრუქტურა შენარჩუნდა 2022 წლის დონეზე და ნაჩვენებია ცხრილში 11. 2024 წელს ეს ავანსები დამუშავდა და დაიხურა მომსახურების აქტებით.

ცხრილი 11, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022_%	31.12.2023_%
1	მიღებული ავანსები_ არარეზიდენტები	38 030	87 190	90	100
2	მიღებული ავანსები_ რეზიდენტები	3 599		10	
3	სულ	41 629	87 190	100	100

12. 2023 წელს მფლობელმა საკუთარი სახსრები შეიტანა კაპიტალის შესავსებად. მიღებული თანხები მოხმარდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებას

ცხრილი 12, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023	აბსოლუტური გადახრა
1	სააქციო კაპიტალი	187 592	227 592	40 000

13. გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

ცხრილი 13. ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023	საანგარიშო წლის მოგება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 450 583	1 777 762	327 179

2023 წელი კომპანიისთვის იყო უფრო წარმატებული წინა წელთან შედარებით, სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული იქნა წმინდა მოგება, გაიზარდა სააქციო კაპიტალი და შედეგად გაუმჯობესდა კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ყველა მაჩვენებელი.

14. ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან

ცხრილი 14, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023	აბსოლუტური გადახრა	შემოსავლის ზრდის %
ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან	1 629 198	2 522 656	893 458	55

კომპანიის საქმიანობა - საზოგადოებრივი აზრის კვლევა.

მომსახურების დამკვეთები არიან როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი კომპანიები.

2023 წელს გაყიდვების სტრუქტურა გარკვეულწილად შეიცვალა. მომსახურების ძირითადი მომხმარებლები იყვნენ საქართველოს არარეზიდენტი კომპანიები. ცხრილში 14.1 აღწერილია

№ რ/ნ	დასახელება	2022	2023
1	მყიდველები_რეზიდენტები	10	18
2	მყიდველები_არარეზიდენტები	90	82
	სულ	100	100

15. გაყიდვების თვითღირებულება

საქმიანობის სპეციფიკა - კვლევის განსახორციელებლად საჭიროა დიდი მოცულობით მომსახურების მიღება როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისგან (ინტერვიუერები), აღნიშნული ფიზიკური პირები არ წარმოადგენენ კომპანიაში მუდმივად დასაქმებულ პირებს და მათთან თანამშრომლობა ხდება კონკრეტული პროექტისა და კონკრეტულად დასახული ამოცანის შესრულების მიზნით.

ცხრილში 15.1 ნაჩვენებია ზღვრული ღვითღირებულება (გაყიდვების თვითღირებულება) 2022-2023წ. დინამიკაში. ზღვრული თვითღირებულების ზრდის პროცენტი პროპორციულია მომსახურების გაყიდვების ზრდისა.

ცხრილი 15.1, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023	ზღვრული თვითღირებულების ზრდის %
გაყიდვების თვითღირებულება	1 366 369	1 861 130	40

ზღვრული თვითღირებულების სტრუქტურა წარმოდგენილია მე-15.2 ცხრილში მითითებული პუნქტებით

ცხრილი 15.2, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023	%	%
1	ცვლადი ხელფასი_ფიზიკურ პირებზე გადახდილი მომსახურების ანაზღაურება	566 200	927 118	41	50
2	მომსახურების ანაზღაურება იურიდიული პირები_არარეზიდენტები	368 314	259 635	27	14
3	ცვლადი ხარჯები_კომპანიის თანამშრომლების ხელფასები	392 440	651 330	29	35
4	მომსახურების ანაზღაურება იურიდიული პირები_რეზიდენტები	33 132	20 355	2	1
5	ძირითადი მასალის დანახარჯები	6 283	2 692		
	სულ	1 366 369	1 861 130	100	100

2023 წელს ზღვრული თვითღირებულების სტრუქტურაში მცირე ცვლილებები მოხდა, მესამე მხარის მომსახურების ხარჯების შემცირება, იურიდიულ პირებზე გადახდილი ანაზღაურება_არარეზიდენტები (-13%) ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯების გაზრდის სასარგებლოდ, ფიზიკურ პირებზე გადახდილი მომსახურების ანაზღაურება (+8%) და პუნქტი ცვლადი ხარჯები_ კომპანიის თანამშრომლების ხელფასები, პირდაპირი ხელფასი დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები (+ 6%)

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ცხრილი 16.1, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2022
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	304 549	404 220

საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა მითითებული მუხლებით წარმოდგენილია მე-16.2 ცხრილში - არარეალიზირებული შემოსავლები

ცხრილი 16.2, ლარი

№ რ/ნ	დასახელება	31.12.2022	31.12.2023	%_31.12.2022	%_31.12.2023	აბს.გადახ.
1	იჯარის ხარჯი	70 077	110 379	23	27	4
2	ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	63 516	59 565	21	15	-6
3	მივლინების ხარჯები	230	8 802	0	2	2
4	ადმინისტრაციული ხარჯები _ იურიდიული მომსახურება	36 000	36 130	12	9	-3
5	კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	58 210	62 899	19	16	-3
6	ადმინისტრაციული ხარჯები_ ტრენინგი, კონსულტაცია	2,732	7 293	1	2	1
7	სოციალური გადასახადი	10 152	17 253	3	3	0
8	სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2 469	33 335	1	8	7
9	საბანკო მომსახურება	4 583	7 028	2	2	0
10	სამეურნეო ხარჯები	14 883	15 495	5	4	-1
11	ძირითადი საშუალებების ცვეთა	38 461	42 826	13	11	-2
12	სხვა საერთო ხარჯი	3236	3 215	1	1	1
	სულ	304 549	404 220	100	100	

მაქსიმალური გადახრა (+7%) მუხლით სხვა ადმინისტრაციული ხარჯები წარმომადგენლობითი ხარჯების პუნქტში შემავალი გაზრდილი ხარჯების გამო. გორბი ევრაზია არის საერთაშორისო ორგანიზაციის GALLUP INTERNATIONAL ASSOCIATION წევრი, 2023 წლის მაისში თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია GALLUP INTERNATIONAL, რომელშიც კომპანია გორბი ევრაზია მასპინძლის როლს ასრულებდა, რაც მოითხოვდა არა მხოლოდ სერიოზულ ორგანიზაციულ მომზადებას, არამედ რესურსებსაც, რათა ღონისძიება უმაღლეს დონეზე ჩატარებულიყო.

17. სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

ცხრილი 17.1, ლარი

დასახელება	31.12.2022	31.12.2023
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	376 714	69 874

სხვა არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის განხილვა წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში 17.2

ცხრილი 17.2

№ III	დასახელება	31.12.2022	31.12.2023
1	არაოპერაციული შემოსავალი _ საფუძველი - ფიზიკური პირის გაჩუქების ხელშეკრულება	307 267	
2	არაოპერაციული შემოსავალი _ უცხოური ვალუტის აქტივების გადაფასებიდან	10 371	16 988
3	არასაოპერაციო შემოსავალი გაცვლითი კურსის გავლენიდან - დადებითი კურსთა შორის სხვაობა		9 812
4	ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული არასაოპერაციო შემოსავლები		
5	არასაოპერაციო შემოსავალი- სესხზე დარიცხული პროცენტი %	100 294	175 200
6	არასაოპერაციო ხარჯი გაცვლითი კურსის გავლენიდან -უარყოფითი კურსთა შორის სხვაობა	-29 323	-33 903
7	% ხარჯები	-11 485	-78 466
8	ჯარიმები, პენია	-280	-360
9	შუამავალი ბანკის საკომისიოები	-130	-1 508
10	ძირითადი საშუალების ნარჩენი ღ-ბა		-3 277
11	უარყოფითი საკურსო სხვაობები უცხოური ვალუტის ანგარიშების გადაფასებიდან		-14 612
	სულ	367 714	69 874

18. საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

2023 წლის ეკონომიკური მოღვაწეობის წლის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდა დადებითი ფინანსური შედეგი 327 179 ლარის ოდენობით. მფლობელის მიერ კაპიტალში დამატებითი შენატანი შეადგენს 40 000 ლარს. 2023 წლის ბოლოს სააქციო კაპიტალი 492 595 ლარით გაიზარდა და 31.12. 2023 წლისთვის შეადგინა 2 005 354 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2024 წლის 26 სექტემბერს.